ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა
და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ტრეფიკინგის მსხვერპლთა
საკონსულტაციო ცხელი ხაზი:
+ (995 32) 2100 229

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია

თბილისის ოფისი
ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ.: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ.: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ.: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი
სტალინის ქ. №19/1, 1400
ტელ.: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
კოსტავას №15, 3700
ტელ.: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
რუსთაველის ქ. №7 ᵃ, 2200
ტელ.: + (995 350) 230745;
ფაქსი: + (995350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ.: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ბროშურა მომზადდა საქართველოს
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და
მშვიდობის, დემოკრატიის და
განვითარების კავკასიური ინსტიტუტის
ერთობლივი პროექტის "საქართველოს
და ევროკავშირს შორის კარგად
მართული მიგრაციის ხელშეწყობა"
ფარგლებში.
მასში გამოთქმული მოსაზრებები არ
გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

www.gyla.ge
www.cipdd.org

ნუ გახდები ტრეფიკინგის მსხვერპლი!

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა
კატეგორიას განეკუთვნება.

ტრეფიკინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს
როგორც ქალი, ასევე მამაკაცი და ბავშვი.

**ყოველწლიურად უამრავი ადამიანი ხდება
შრომითი, სექსუალური ექსპლუატაციისა და
სხვა მიზნებით უკანონო ვაჭრობის
მსხვერპლი როგორც საკუთარ, ისე
უცხო ქვეყანაში.**

ტრეფიკინგში ხშირად ჩართულია სხვადასხვა საშუამავლო ფირმა (მაგ.: ტურისტული ფირმები, სამოდელო სააგენტოები), რომლებიც ადამიანს სთავაზობენ უცხოეთში წაყვანას სასწავლებლად ან სამუშაოდ, ჰპირდებიან კარგ ანაზღაურებას, თუმცა ეს დაპირებები მხოლოდ დაპირებებად რჩება და ადგილზე ჩასულებს სულ სხვა პირობები ხვდებათ.
ფირმები/სააგენტოები საკუთარ თავზე იღებენ უცხოეთში გამგზავრებისთვის ყველა საჭირო საკითხის მოგვარებას, საზღვარგარეთ სამუშაოს მოძებნის, ვიზისა თუ საცხოვრებლის მოპოვების ჩათვლით, რისთვისაც გასამრჯელოს წინასწარ იღებენ. რაც შეეხება ხელშეკრულების გაფორმებას, ხშირ შემთხვევაში ფირმები დასაქმების მსურველებს ჰპირდებიან კონტრაქტის გაფორმებას ქვეყანაში ჩასვლისას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ზეპირ მოლაპარაკებას აქვს ადგილი.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ტრეფიკინგის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა და მსხვერპლთა უფლებების დაცვა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, კერძოდ, ადამიანის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანა მუქარით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დამახასიათებელი ნიშნებია პიროვნებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, გადაადგილების შეზღუდვა, ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტის აკრძალვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ადამიანით ვაჭრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განცალკევებულად არეგულირებს არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), რაც გულისხმობს არასრულწლოვნის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ან/და მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადაწყვიტეთ საზღვარგარეთ წასვლა, არავის ანდოთ თქვენი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (მაგ: პასპორტი), ყურადღებით წაიკითხეთ ხელშეკრულება და გაიარეთ კონსულტაცია იურისტებთან, მოიძიეთ ინფორმაცია იმ კომპანიის შესახებ, სადაც გპირდებიან დასაქმებას.

თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდით:

გახსოვდეთ, რომ თქვენ აუცილებლად დაგეხმარებიან. სცადეთ, დაუკავშირდეთ თქვენი ქვეყნის საკონსულოს, საელჩოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ, სამართალდამცავ ორგანოებს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს.

თუ დადასტურდა, რომ თქვენ ტრეფიკინგის მსხვერპლი ხართ, შეგიძლიათ ისარგებლოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი უფლებებითა და გარანტიებით:

- სახელმწიფო უზრუნველყოფს თქვენს მოთავსებას ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში);
- თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ 30 დღიანი მოსაფიქრებელი ვადით, რათა ამ დროის მანძილზე მიიღოთ გადაწყვეტილება, გსურთ თუ არა ითანამშრომლოთ სამართალდამცავ ორგანოებთან;
- მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში თქვენ თავისუფლდებით ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პასუხისმგებლობისაგან;
- თავშესაფარში, თქვენივე თანხმობით, გაგიწევენ უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აგრეთვე, უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და სასამართლო წარმომადგენლობას;
- სახელმწიფო უზრუნველყოფს თქვენი პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრულ დაცვას;
- თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ სრული ინფორმაცია თქვენი უფლებების დაცვის იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;
- თქვენი პირადი უსაფრთხოების დაცვა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებები განხორციელდება თქვენივე თანხმობით და თქვენი პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოებით.

გახსოვდეთ!

- სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულს ადვოკატით, თარჯიმნით, აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მასალების მიწოდებით მშობლიურ ან სხვა, მისთვის გასაგებ ენაზე;
- დაზარალებულსა და მოწმეს, ასევე, იმ პირებს, რომლებიც მათ სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას უწევენ, უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს მოითხოვონ თავიანთი და ოჯახის წევრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში!
იყავით ინფორმირებულნი!